# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

5 აპრილი, პარასკევი, 1991 წ.
№ 62 (10 475) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ, დარბაზში კი საქართველოს ეროვნული დროშა ფრიალებდა



ეკა აბრამიას სახელი ან ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად გვესმის. ამ გოგონამ უკვე თამამად შეაბიჯა დიდ სპორტში და წარმატებებსაც აღწევს.

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ბელგიის მეექვსე საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ახლახან დამთავრდა, კვლავ შესანიშნავად იასპარეზა ეკა აბრამიამ და „მაყურებელთა სიმპათიის" პრიზი მოიპოვა. მაგრამ ეს არც არის მთავარი. მთავარი ის, რომ ეკამ და მისმა თანაგუნდელებმა ეკა მეიშვილმა და ბელა ქილიაევამ სხვადასხვა ღირსების 10 მედალი მოიპოვეს, გუნდურ პირველობაში კი ყველას აჯობეს (მწვრთნელი ნელი სალაძე). წარმატება უფრო შთამბეჭდავი გახდება თუ ვიტყვით, რომ ტურნირში მონაწილეობდნენ ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, პორტუგალიის, ფინეთის, ნიდერლანდების, უნგრეთის, ავსტრიისა და ბელგიის საუკეთესო სპორტსმენები. საქართველოს წარგზავნილები ცალკე გუნდად, ეროვნული დროშით ასპარეზობდნენ.

**სურათებზე:** ქართველი ტანმოვარჯიშეები. ცენტრში—ეკა აბრამია.

ჟანო შამანაძის (საქინფორმი) ფოტო.

## კიდევ ერთი ჩეხური ბარიერი

**კილტონ-ჰედი.** აშშ-ს ამ ქალაქში მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე ჩვენმა თანამემამულემ ლელა მესხმა მეორე შეხვედრაც მოიგო ჩეხოსლოვაკიელ რადკა ზრუბაკოვასთან (6:3, 6:2) და მესამე წრეში გავიდა. სხვათა შორის, ლელამ პირველ წრეშიც ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი (ვერონიკა მარტინეკი) დაამარცხა.

მესამე წრეში გავიდა მინსკელი ნატალია ზვერევაც, რომელმაც დონა ფაბერს (აშშ) აჯობა 6:1, 6:3.

ტურნირის ერთ-ერთ სენსაციად მიიჩნევენ ბულგარელ კატერინა მალეევას მარცხს ნაკლებად ცნობილ იტალიელ ფედერიკა ბონსინიორისთან 7:6, 2:6, 4:6.

## მეორე წარმატება ამერიკის რინგზე

**რაპიდ-სიტი (აშშ).** სსრ კავშირის მოკრივეთა ნაკრებმა ოფიციალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ სამხრეთ დაკოტის შტატის ამ ქალაქში მეორე შეხვედრა გამართა აშშ-ის გუნდთან და ამჯერადაც წარმატებას მიაღწია მინიმალური უპირატესობით — 5:4.

ძიმომხილველები განსაკუთრებით ნაკრების დებიუტანტთა მაღალ ოსტატობას და კარგ გამოსვლას აღნიშნავენ, თანაც პირველ რიგში თბილისელ აკაკი კაკაურიძეს (75 კგ) და ერევნელ ალექსან ნალბანდიანს (48 კგ) ასახელებენ. კაკაურიძეს საკმაოდ დამაჯერებლად მოუგია მაიკლ დემოსისათვის, ნალბანდიანს — ჯერომ მაკინტაიერისათვის.

ამ დღეს გაიმარჯვეს, აგრეთვე, ლენინგრადელმა ვლადისლავ ანტონოვმა (54 კგ, ჯილიან უილერთან), ვორონეჟელმა ვლადიმერ ერეშენკომ (67 კგ, აჰმედიკალ ვაკოვერთან) და ჩელიაბინსკელმა ევგენი ბელოუსოვმა (მძიმე, სამარონ პოუჰასთან). ამერიკელთაგან ორთაბრძოლები მოიგეს: ჯონ ერერამ (51 კგ), პატრიკ ბრუკსმა (57 კგ), სტივ ჯონსტონმა (60 კგ) და ტერი მაკეროუმმა (81 კგ).

შეგახსენებთ, რომ ეს წარმატება ქუთაისელი მოკრივის (იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს) უკვე მეორე გამარჯვებაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველი მან სპოკანში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაში მოიპოვა.

## მსოფლიო აღიარება

**კიდევ** ერთი საერთაშორისო ორგანიზაციაში გაერთიანდა კარატეს რესპუბლიკური ფედერაცია.

შოტოკან კარატე-დო, ტრადიციული კარატეს ეს ერთ-ერთი მიმართულება განსაკუთრებით იმითაა ცნობილი მთელს მსოფლიოში, რომ მის შემადგენლობაში 60-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები ირიცხებიან და ეს ფედერაცია ერთადერთია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატს ატარებს თითქმის ყველა ასაკში — 10 წლის ყმაწვილებით დაწყებული ვეტერანებით დამთავრებული. სწორედ ამ ფედერაციაში გაერთიანდნენ ჩვენი წარმომადგენლები. ეს ცნობა და ოფიციალური დოკუმენტი ამ დღეებში მიიღო საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა.

6-8 სექტემბერს მექსიკაში ჩატარდება წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც საქართველოს გუნდს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის სრულყოფილ წევრს, ცხადია, დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება ეძლევა.

**ვულოცავთ!**



第500-02号

認可証

CERTIFICATE OF RECOGNITION

GEORGIAN SHOTOKAN KARATE-DO ASSOCIATION

規約に依り貴団体を支部として認可致します

In Accordance with the rules & regulations of the SKIF we acknowledge your group as an OFFICIAL BRANCH of the Shotokan Karate-Do International Federation

1990年12月12日
YEAR MONTH DAY

國際松濤館空手道連盟 弘和
Kanazawa

## პირველი ოლიმპიადა... ბავშვებისთვის

**საერთაშორისო** ოლიმპიურმა კომიტეტმა იუნესკოსთან ერთად გადაწყვიტა, ჩაატაროს ოლიმპიადა მთელი მსოფლიოს ბავშვებისათვის. იგი გაიმართება აგვისტოში ილტის ცნობილ ბავშვთა კურორტ ანაპაში.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ბავშვები, არამედ ისინიც, ვისაც ფიზიკური ნაკლი აქვთ.

იმ ისტორიულმა ფაქტმა, რომ ოლიმპიური თამაშები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წლიდან ტარდებოდა, არა მარტო სპორტში, არამედ ხელოვნების ზოგიერთ სახეობებშიც, ანაპის ოლიმპიადის ორგანიზატორებს გაუჩინა ის აზრი, რომ ნორჩი ოლიმპიელების შეჯიბრებები სპორტის გარდა ხელოვნებაშიც ჩატარდეს — ახალგაზრდა მხატვრებს, მუსიკოსებს და მსახიობებს შორის.

## ჩვენთვის მთავარია ფედერაციის აზრი

**ჩავატაროთ** ხანდაზმულ ქალთა ჩემპიონატი ნარდში, ამით ეს უძველესი თამაში ჩვენში მეტ პოპულარობას შეიძენს, გავაცოცხლებთ გარდასულ დღეებს და სიხარულსაც ვაჩუქებთ მანდილოსნებს — ასეთი იყო „ლელოს" ფურცლებზე დასმული წინადადების აზრი. სამწუხაროდ, აქამდე დღეს ოპოზიცია მოდაშია, გამოჩნდა თბილისელი კაცი, რომელმაც ერთ-ერთ გაზეთში გაილაშქრა ასეთი სპორტული ღონისძიების წინააღმდეგ. ოპოზიციას საპასუხო რეაქცია მოჰყვა. რედაქცია ბოდიშს იხდის ყველას წინაშე, ვისაც სურდა გაზეთის მეშვეობით პასუხი გაეცა იაფფასიანი პოპულარობის მოხვეჭის მსურველი ავტორისათვის. ზოგიერთმა იმ ოპოზიციონერი ავტორის ცხოვრებისეული „ცოდვები" გაიხსენა, რის შემოწმებასაც ჩვენ არ ვაპირებთ, თუნდაც იმიტომ, რომ „ლელო" მუდამ გაურბოდა ურთიერთდამაპირისპირებელი და სალანძღავი მასალების გამოქვეყნებას.

ჩვენთვის მთავარია ფედერაციის აზრი და არა ერთი განრისხებულ-ჩასაფრებული პიროვნების პოზიცია.

ნარდის რესპუბლიკურმა ფედერაციამ მხარი დაუჭირა თაოსნობას — ეს არის მთავარი!

## ჯერი საკავშირო სპორტსახკომზეც მიდგა

**სულ** მალე აზრას საკავშირო სპორტსახკომიც გამოიცვლის. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებით საკავშირო სპორტსახკომი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კაბინეტთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტად გარდაიქმნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღემდე იგი სახელმწიფო ორგანო იყო, ახლა მისი სტატუსი დაქვეითდა.

მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ რესპუბლიკებმა თავად აირჩიეს ფიზკულტურისა და სპორტის მართვის ახალი სისტემა და ისინი თანდათან გამოდიან საკავშირო დაქვემდებარებიდან. ცენტრი ველარ ახდენს ტრადიციულ ზეგავლენას რესპუბლიკებზე. ჯერჯერობით არავინ იცის თუ რა ფუნქცია დაეკისრება მოდერნიზებულ კომიტეტს. ვითომ აზრის შეცვლაშია ხსნა?

## თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდამეხუთემდე



ათენის მარმარილოს სტადიონი (მას სხვაგვარად აგეროფას სტადიონიც ერქვა იმ ბერძენი მილიონერის პატივსაცემად, რომელმაც დიდი თანხა გაიღო სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის). აქ საზეიმოდ გაიხსნა და დაიხურა I ოლიმპიური თამაშები.

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართა 1896 წლის 6-15 აპრილს ათენში. მონაწილეობდა 13 ქვეყნის (ავსტრალია, ავსტრია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, აშშ, საფრანგეთი, ჩილე, შვეიცარია, შვეცია) 311 სპორტსმენი. პირველი ოლიმპიადის პროგრამაში არ იყო შეტანილი ქალთა სპორტის არც ერთი სახეობა და ამიტომ, ბუნებრივია, მასში არ მონაწილეობდნენ „მშვენიერთა სქესის" წარმომადგენლები.

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!

# უკვალოდ არაფერი ქრება!

**გინახავთ ტანმოვარჯიშის ხელები, უფრო სწორად ხელისგულები? თუ გინახავთ, ალბათ, შეამჩნევდით კიდეც, როგორ ცდილობენ დამალონ ეს მეტისმეტი ჯაფისაგან დაბერილ-დაკოჟრილი ხელები. არადა, ამ ხელისგულებზეა ალბეჭდილი სწორედ მთელი მათი ცხოვრება.**
**ახლა, წარმოიდგინეთ ტანმოვარჯიშე, რომელიც თორმეტი წელია აღარ გაკარებია თავის საყვარელ იარაღებს და ხელებზე მაინც ეტყობა ძველი „ნაიარევი". ის ისევ მალავს ხელებს. ალბათ, წლების განმავლობაში მიეჩვია, თუმცა, ჩემი აზრით, მათი ჩვენება უნდა ეამაყებოდეს.**
**ამ ხელებს არა მარტო არაადამიანური შრომა და ტკივილები გადაუტანიათ, არამედ, ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედლების სითბოც უგრძვნიათ...**

1973 წელს, თბილისში გამართულ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო თასის გათამაშებაზე ათასობით მაყურებელი გაფაციცებით ადევნებდა თვალს პაატა შამუგიას ყოველ მოძრაობას. მეტოქეებს ერთობ დიდი უპირატესობა ჰქონდათ — მათ სახელებს მსოფლიო იცნობდა. მაგრამ სასწაული მაინც მოხდა: ქართველი სპორტსმენი საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი გახდა...

შემდეგ — ვარნა, 1974 წლის მსოფლიო პირველობა ტანვარჯიშში... და თბილისი აღფრთოვანებული ხვდება მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანს.

მერე იწყება ხანგრძლივი ტურნე. კალეიდოსკოპივით იცვლება მსოფლიოს ქვეყნები და სპორტული დარბაზები. პაატამ უცხოური აუდიტორიაც ისევე მოაჯადოვა, როგორც „თავისი" მაყურებელი.

იმავე წელს ინგლისის ღია პირველობაზე მიიწვიეს ლონდონში, სადაც აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ინგლისელები ტაშს უკრავენ საქართველოს წარგზავნილს.

1975 წელი. ისევ ნისლიანი ალბიონი. მსოფლიო თასის გათამაშებაში პაატა უკვე ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. ახლაც აღფრთოვანდა ბრიტანელი მაყურებელი... და მსოფლიო თასი საქართველოში ჩამოდის.

წლების განმავლობაში პაატა აიძულებდა საკუთარ ხელებს „ემუშავათ" მედლებისთვის, თასებისთვის, იმ ქულებისთვის, ასე რომ სჭირდებოდათ მის თანაგუნდელებს, საქართველოს. მის სპორტულ ბიოგრაფიას ბევრი თვალსაჩინო მიღწევა ამშვენებს: არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი და თასის მფლობელი, მრავალგზის ჩემპიონი ცალკეულ იარაღებზე, მსოფლიო თასის მფლობელი ცალკეულ ვარჯიშებში, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, საერთაშორისო მატჩებისა და ტურნირების გამარჯვებული. რაც შეეხება წარმატებებს საკავშირო შეჯიბრებებში, მათ პირდაპირ თვლა არა აქვთ. ოლიმპიურ თამაშებში კი არასოდეს მიუღია მონაწილეობა, თუმცა სულ მცირე მანძილი აშორებდა მას, არც ევროპის ჩემპიონატზე ეღირსა გამოსვლა...

1975 წელს შვეიცარიაში ევროპის პირველობა უნდა გამართულიყო. ამ დროისათვის თბილისელი სპორტსმენი არავის ჩამოუვარდებოდა არც ნიჭით, არც შრომისუნარიანობით. მისი ასპარეზობაზე გაგზავნა ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ... !

— მაშინ ჰანს ბურჯანაძე მავარჯიშებდა. ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით. შეკრებაზე კავშირის ნაკრების მწვრთნელმა მიხეილ ვორონინმა გაგვაფრთხილა, ჩემპიონატზე წავა ის, ვინც აქ, საწვრთნელ გამოსვლებში, ოთხეულში მოხვდებაო. მე მეორე ადგილი დავიკავე, მაგრამ ჩემი გვარის გასწვრივ წავიკითხე „რეზერვი", გავბრაზდი. შვეიცარიაში აღარ წავედი. ოლიმპიადაზე მოხვედრა კი ყოველი სპორტსმენის სანუკვარი ოცნებაა. იქ ერთხელ გამარჯვებას უფრო დიდი ფასი აქვს, ვიდრე ათჯერ მსოფლიო პირველობის მოპოვებას. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ტანმოვარჯიშეებს, ოლიმპიურ თამაშებზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითოჯერ თუ უწევთ გამოსვლა; ამიტომ, უნდა „მოასწრო". ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრასაც დამსახურება უნდა და წინასწარ ათასნაირი ტურნირები ტარდება. 1976 წელს, თბილისში საკავშირო პირველობა გაიმართა, სადაც აბსოლუტური ჩემპიონი გავხდი. ამ დროს გარდამეცვალა მამა — ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი. თითქმის მთელი თვე დარბაზში არ შევსულვარ. არადა, ორ კვირაში მოსკოვში უნდა წავსულიყავი, ოლიმპიადისწინა ტურნირზე. ვისაც ტანვარჯიშისა ესმის, ის ადვილად მიხვდება, რას ნიშნავს მთელი თვის გაცდენა: წონაში იმატებ, მძიმდები, თითქოს ყველაფერი გავიწყდება. ისე მინდოდა თამაშებზე მოხვედრა, ორ კვირაში, რომ იტყვიან, სასწაული მოვახდინე. ახლაც კი მიკვირს ჩემი თავის. კარგად მომზადებული მოსკოვში გავემგზავრე. წინასწარ მწვრთნელები გავაფრთხილე, თუ ისევ რეზერვში ჩაწერას მიპირებთ, ნუ მაწვალებთ, პირდაპირ მითხარით-მეთქი. პაატა, შენ თუ არა, აბა, სხვა ვინო? — მიპასუხეს. შესარჩევი შეჯიბრება ორ დღეს გაგრძელდა. პირველი დღის მერე მეორე ადგილზე ვიყავი, მეორე დღეს კი მსაჯებმა „იბეჯითეს" — ბევრი „შეცდომა" მიპოვეს და საბოლოოდ IV ადგილზე გავედი. მაგრამ, ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია: ხომ შემპირდნენ, რომ ნაკრებში მაინც ჩამრიცხავდნენ, მაგრამ... ახლა რეზერვშიც არ ამოვჩნდი.



პაატა შამუგია.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა! რამდენიმე დღეში გუნდი მიემგზავრება და მე კი არაფრის შეცვლა არ შემიძლია. მწვრთნელმა ვითომ „დამამშვიდა", მითხრა, — ნუ ბობოქრობ, რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე, ისევ მოემზადე, შეგამოწმებთ და მერე ვნახოთო...

არადა, ძნელად თუ მოიძებნებოდა ტანმოვარჯიშე, რომელიც იმდენჯერ შეემოწმებინათ, რამდენჯერაც პაატა შამუგია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ისე ხდებოდა, წყაროსთან რომ მიიყვანენ მწყურვალს და წყალს არ დაალევინებენ.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დაიკავა — ორი მეათედი ქულით ჩამორჩა იაპონიის გუნდს, რომელმაც ამ სხვაობას სწორედ ხტომებში მოპოვებული უპირატესობით მიაღწია. იმჟამად, კავშირში ყველაზე ძლიერ ტანმოვარჯიშედ ხტომებში ანდრიანოვს მიიჩნევდნენ, თუმცა, არ ყოფილა შეჯიბრება, სადაც ამ სახეობაში მას პაატასათვის ეჯობნოს.

გადიოდა წლები, შამუგიას გვარის გასწვრივ უკვე ხშირად იწერებოდა „მწარე" სიტყვა „რეზერვი". ამდენი ბრძოლით დაღლილმა პაატამ 1979 წელს, სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ, საერთოდ დატოვა სარბიელი.

— თუმცა, ბევრი წყენა შემხვდა, სიხარულიც ბევრჯერ მიგრძვნია. ადრე წავედი სპორტიდან... კიდევ შემეძლო... მაგრამ ჩავთვალე, რომ აზრი აღარ ჰქონდა...

● **ტანვარჯიშის სიყვარული ხომ არ გაგნელებიათ?**

— რასაკვირველია, არა. ხშირად მივდივარ დარბაზში, ვუყურებ ბიჭებს, რჩევებს ვაძლევ...

ერთი კი უნდა აღვნიშნო: ტანვარჯიში ისეთი სახეობაა, სადაც სპორტსმენს ძალიან ცოტა დრო აქვს სასურველი შედეგის მისაღწევად. ეს არ არის, ვთქვათ, ტყვიის სროლა, სადაც ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. დღევანდელი ტანვარჯიში გაახალგაზრდავდა. ასაკთან ერთად წონაშიც იმატებ, დუნდები... მოკლედ, გიჭირს ფორმის შენარჩუნება. ხშირად მეკითხებიან: ქართულ ტანვარჯიშს უწინ საოცარი ტრადიციები ჰქონდა და როგორ დაიკარგაო. მართლაც, რამდენი „არგაოსტატი გვყავდა... ისინი თავიანთი ეპოქამ დაბადა. ვფიქრობ, მოვა დრო და ისევ გვეყოლებიან ჩემპიონები.

უკვალოდ არაფერი ქრება!

**მანანა ხოსელია**

**P.S.** მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც შევიტყვეთ, რომ პაატა შამუგია მთაწმინდის რაიონის საკრებულოს წევრად აირჩიეს.

იგი ხალხის ნდობასაც უდავოდ გაამართლებს.

# ტაი-ცი ციუანი საბრძოლო ხელოვნებაა!



„ვინც ფიქრობს, ყოველივე ვუწყიო:
არა უწყის რა.
ვინცა დიდებას მიელტვის:
ვერ ეღირსება დიდებას.
ვინც განდიდებას მიელტვის:
ვერ გაწინამძღვრდება".

„ყოვლადბრძენი არ იხვეჭს.
ყოველივეს ხალხისათვის იქმს
და ყოველივეს გასცემს".

**ლაო ძი**

**სასიხარულოა,** რომ საბრძოლო ხელოვნება საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება — ეს არის სულიერი და ფიზიკური წრთობის საწინდარი.

სასიხარულოა ისიც, რომ დღეს ამ სფეროში უკვე თითქმის ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა: სულ ცოტა ხნის წინათ — „განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში" ხომ კარატე კანონგარეშედ იყო გამოცხადებული და მწარე გამოცდილებით ჰკუანასწავლი საბრძოლო ხელოვნების ენთუზიასტები აღმოსავლური ორთაბრძოლების სხვა სახეობების გადარჩენას ათასნაირი ხერხებით ცდილობდნენ. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ასეთი ხერხი იყო ამ სახეობათა მეორეხარისხოვანი ასპექტების წინ წამოწევა, აქცენტირება და ამით მათი არსებობის „გამართლება". ამ პერი-



ოდში ხშირად წააწყდებოდით რადიო-ტელევიზიაში თუ პრესის ფურცლებზე გამოთქმებს: „ჩინური ტანვარჯიში — უ-შუ", „ჩინური ბრძოლა ჩრდილთან — გუნფუ", „ჩინური სამკურნალო ტანვარჯიში — ტაი-ცი ციუანი" და ა. შ., რომელთაც თურმე არაფერი აქვთ საერთო „მართლაც რომ აგრესიულობის განსახიერება კარატესთან" და, მისგან განსხვავებით, სრულიად მშვიდობიანი, წმინდა გამაჯანსაღებელი დანიშნულების მქონე ვარჯიშთა კომპლექსებს წარმოადგენს. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო ძალისხმევით გაჰქრა, გაიფანტა უმეცრებითა და ტყუილით გაჟღენთილი ატმოსფერო და დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარატე სრულიადაც არ არის „სპორტის აგრესიული სახეობა"; იგი, რა თქმა უნდა, სწორი სწავლების პირობებში არ აყალიბებს სადისტებსა და პროფესიულ დამნაშავეებს. პირიქით, ყველა სახეობა საბრძოლო ხელოვნებისა — კარატე, კემპო, უ-შუ, ჯიუ-ჯიცუ და სხვა მრავალი — არა მარტო უმდიდრეს ტექნიკურ არსენალს მოიცავს, არამედ დაფუძნებულია უძველეს და უმდიდრეს აღმოსავლეთაზიურ კულტურაზე და მის განუყო-

 იხ. მე-4 გვ.



ტაი-ცის დიდოსტატები — ბ-ნი ტოიო და ქ-ნი პეტრა კობაიაშები

ქ-ნი პეტრა ქ. მიუნხენში (გერმანია) დაიბადა. ტაი-ცის ხელოვნებას ჰოლანდიაში ეზიარა და შემდეგ ოსტატის ძებნაში მსოფლიო მოიარა. მან იგი ტაივანზე აღმოაჩინა. ეს იყო დოქტორი ცზიან დაო-ძი (სხვათა შორის, მორწმუნე ქრისტიანი) — ლეგენდარული ჩჟენ მან-ცინის მოწაფე.

ბ-ნი ტოიო საბრძოლო ხელოვნებას თავის სამშობლოში — იაპონიაში ეზიარა. შეისწავლა მისი მრავალი სახეობა და „სათავეების" ძებნაში ჩინეთს, კერძოდ კი კუნძულ ტაივანს მიაშურა. აქ შეისწავლა „შიგა" მიმართულების სახეები პა-გუა და ხსინ-ი, შემდეგ კი ტაი-ცი ციუანის შესწავლა დაიწყო იმავე ცზიან დაო-ძისთან. სწორედ აქ, დოქტორ დაო-ძის სკოლაში გაიცნეს ერთმანეთი ქ-ნმა პეტრამ და ბ-ნმა ტოიომ. აქვე შეუღლდნენ კიდეც.

მიუნხენში დაბრუნების შემდეგ პეტრა და ტოიო კობაიაშებმა გახსნეს ტაი-ცი ციუანის დიდი სკოლა ფილიალებით ავსტრიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, მექსიკაში, აშშ-სა და რუსეთში. ბოლო დროს ამ ქვეყნების რიცხვს მიემატა საქართველოც, სადაც მუშაობს მათი მოწაფე — ი. ყეინაშვილი.

დიდოსტატებს პეტრა და ტოიო კობაიაშებს 1993 წელს დაგეგმილი აქვთ საქართველოში ჩამოსვლა, მანამდე კი, — წლეულს, აგვისტოში, გვეწვევა მათი უფროსი შეგირდი — ბ-ნი იენს ქრისტიან ვოლფი.

# ეს-ესაა შევიტყვეთ...

ნბა-ს კალათბურთელთა პროფესიული ლიგის კანონების თანახმად, ყოველი დივიზიონი „პლეი-ოფის" სერიებში სათამაშოდ ოთხ საუკეთესო გუნდს „აგზავნის". ცენტრალურ და წყნარი ოკეანის დივიზიონებში ყველაფერი გარკვეულია, ამიტომ, აქ ჯგუფურმა ტურნირებმა ერთგვარად დაკარგა სიმწვავე. ატლანტის დივიზიონში ორი ვაკანტური ადგილია დარჩენილი, შუა-დასავლეთის დივიზიონში კი მხოლოდ ერთი. ამ ერთ კვირაში ყველა ფინალისტის ვინაობას შევიტყობთ.

ახლა მორიგი ტურის შედეგებს გავეცნოთ:

„კლივლენდი" — „ნიუ-იორკი" 95:84.

„ფილადელფია" — „ინდიანა" 107:104.

„ჰიუსტონი" — „დალასი" 102:86

„სიეტლი" — „საკრამენტო" 106:91

„იუტა" — „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" 99:97

„გოლდენ სტეიტი" — „მაიამი" 127:114.

## აღმოსავლეთის კონფერენცია

### ატლანტის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი" | 53 | 20 | 726 |
| „ფილადელფია" | 41 | 33 | 554 |
| „ნიუ-იორკი" | 35 | 38 | 479 |
| „ვაშინგტონი" | 27 | 45 | 375 |
| „ნიუ-ჯერსი" | 23 | 50 | 315 |
| „მაიამი" | 22 | 52 | 297 |

### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო" | 54 | 18 | 750 |
| „დეტროიტი" | 40 | 27 | 630 |
| „მილუოკი" | 44 | 29 | 602 |
| „ატლანტა" | 38 | 34 | 528 |
| „ინდიანა" | 36 | 37 | 493 |
| „კლივლენდი" | 26 | 47 | 356 |
| „შარლოტა" | 22 | 51 | 301 |

## დასავლეთის კონფერენცია

### შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან-ანტონიო" | 47 | 24 | 661 |
| „ჰიუსტონი" | 47 | 25 | 652 |
| „იუტა" | 47 | 25 | 652 |
| „ორლანდო" | 26 | 45 | 366 |
| „დალასი" | 26 | 46 | 361 |
| „მინესოტა" | 22 | 49 | 309 |
| „დენვერი" | 19 | 53 | 264 |

### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტლენდი" | 54 | 18 | 750 |
| „ლ-ა. ლეიკერსი" | 52 | 21 | 712 |
| „ფენიქსი" | 50 | 22 | 694 |
| „გოლდენ სტეიტი" | 38 | 35 | 521 |
| „სიეტლი" | 35 | 37 | 486 |
| „ლ-ა. კლიპერსი" | 28 | 45 | 384 |
| „საკრამენტო" | 20 | 52 | 278 |

# მთაწმინდის რაიონში რეგისტრაციაში გატარდა გამაჯანსაღებელი კლუბი

**მოსახლეობის** ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის პირველადი რგოლი — გამაჯანსაღებელი კლუბი რესპუბლიკის ბევრ რაიონში და ქალაქში იქმნება. თბილისის მთაწმინდის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჯუდე ქამუშაძემ მოგვაწოდა ცნობა, რომ რაიონში უკვე შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა მოსახლეობის გამაჯანსაღებელი კლუბი. კლუბს იურიდიული სტატუსი მიენიჭა, მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში უკვე გაიხსნა ანგარიში, რომლის ნომერია 10070-0886. რეგისტრაციაში გატარების შემდეგ კლუბს ჯორჯაძის ქ. № 2-ში 80 კვ.მ; და დაახლოებით ამდენივე მოცულობის ფართობი გამოეყო. ბ. პაიჭაძის სახელობის კლუბს, რომელიც გამაჯანსაღებელ კლუბში გაერთიანდა, ერთ-ერთი შენობის პირველ სართულზე დაუთმეს ორი ოთახი.

# თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდამეხუთემდე

(დასასრული)

ასპარეზობა ჩატარდა ცხრა სახეობაში — ბერძნულ-რომაულ ანუ კლასიკურ ჭიდაობაში (მხოლოდ ერთ, მძიმე წონაში), ველოსპორტში (ტრეკი, გზატკეცილი), ტანვარჯიშში (ორძელი, ძელი, ტაიჭი, რგოლები, ბჯენითი ხტომები და ბაგირზე ცოცვა), მძლეოსნობაში (12 სახეობა), ცურვაში (100, 500 და 1 200 მეტრზე სპორტსმენთათვის და 100 მეტრზე — მეზღვაურთათვის), ტყვიის სროლაში (პისტოლეტი, შაშხანა), ჩოგბურთში (ერთეულთა და წყვილთა თანრიგები), ძალოსნობაში (ერთი შეჯიბრება ცალი ხელით და ერთიც ორი ხელით აწევაში) და ფარიკაობაში (რაპირა, ხმალი და რაპირა მწვრთნელთათვის).

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონია ამერიკელი მძლეოსანი ჯეიმს კონოლი (რა თქმა უნდა ქრონოლოგიურად), რომელმაც გაიმარჯვა სამხტომელთა შეჯიბრებაში ახალი ოლიმპიური რეკორდით — 13 მ. 71 სმ.



ათენი, 1896 წელი. ოლიმპიური მოედნის ხედი.



თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი ჯეიმს კონოლი, რომელმაც მოიგო შეჯიბრება სამხტომში.

აქ ერთი განმარტებაა საჭირო: ვინაიდან ეს იყო თანამედროვეობის პირველი თამაშები მძლეოსანთა, მოცურავეთა, მსროლელთა და ძალოსანთა მიერ ნაჩვენები ყველა უმაღლესი შედეგი, ამავე დროს, ოლიმპიურ რეკორდებად გაფორმდა. რეკორდები არ დაფიქსირდა მხოლოდ ველოსპორტში.

სახეობების მიხედვით (აქაც, რა თქმა უნდა, ქრონოლოგიის დაცვით) პირველ ოლიმპიურ ჩემპიონებად ითვლებიან:

**ველოსპორტში** — (გიტი ადგილიდან ერთ წრეზე — 333,3 მეტრი). პ. მასონი (საფრანგეთი) — 24,0.

**ტანვარჯიში** — ორძელი. ა. ფლატოვი (გერმანია).

**მძლეოსნობაში** — სამხტომი. ჯ. კონოლი (აშშ) — 13,71 მ.

**ცურვაში** — 100 მ. თავისუფალი სტილით. ა. ჰაიოში (უნგრეთი) — 1.22,2.

**სროლაში** — არმიული შაშხანა. 200 მ. პ. კარასევდასი (საბერძნეთი) — 2320 ქულა.

**ჩოგბურთში** — ერთეულთა თანრიგი. ჯ. ბოლენდი (დიდი ბრიტანეთი).

**ძალოსნობაში** — ვარჯიში ცალი ხელით. ლ. ელიოტი (დიდი ბრიტანეთი) — 71 კგ.

**ფარიკაობაში** — რაპირა. ე. გრავლოტი (საფრანგეთი).

**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში** — (კლასიკურში), აბსოლუტური წონა. კ. შუმანი (გერმანია).

კიდევ ერთი დეტალი: პირველი ოლიმპიური თამაშების ყველაზე საუკეთესო სპორტსმენად მიჩნეულია მარათონულ რბენაში გამარჯვებული ბერძენი სპირიდონ ლუისი, რომელიც ამ წარმატებისთვის თავის ქვეყანაში ეროვნულ გმირად გამოცხადდა.

პირველი ოლიმპიადის მედლები 10 ქვეყნის სპორტსმენთა შორის განაწილდა. გთავაზობთ პირველ ექვსეულს:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 10 | 19 | 17 |
| აშშ | 11 | 7 | 1 |
| გერმანია | 7 | 5 | 2 |
| საფრანგეთი | 5 | 4 | 2 |
| დიდი ბრიტანეთი | 3 | 3 | 1 |
| დანია | 1 | 2 | 4 |

# SOS ტურნირი ჩაიშალა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოხდა** უპრეცედენტო ფაქტი ქართული ჭადრაკის ისტორიაში — ტურნირი ჩაიშალა! აღარ გათამაშდა საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატის მეორე ტური.

...ჭადრაკის მოყვარულებმა და, რაღა თქმა უნდა, მოჭადრაკეებმა კარგად უწყიან ის დაუფარავი ინტერესი, რომლითაც საქართველოს ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას ელოდნენ შარშან. მით უფრო, რომ ვაჟებს ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა შესანიშნავი მაგალითი მისცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატის ჩატარება უძლიერესი შემადგენლობით ვერ მოხერხდა. მაგრამ უმაღლეს ლიგამდე აუცილებელი იყო ჯერ შესარჩევი ტურნირისა და შემდეგ პირველი ლიგის ჩემპიონატის ჩატარება. საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა, დებულების მიხედვით, გადაწყვიტა 12-18 მარტს წყალტუბოში პირველი ლიგის ჩემპიონატი ჩაეტარებინა, ორგანიზაციული მომზადების შემდეგ 30 მონაწილე შეიკრიბა. მართალია, დებულებით, ეს რაოდენობა არ ყოფილა გათვალისწინებული, მაგრამ შეღავათით ქვეყანა არ დაქცეულა.

მონაწილენი დაბინავდნენ სანატორიუმ „მეშახტეში", იქვე ტარდებოდა ტურები, იქვე იკვებებოდნენ.

დებულებით ტურნირი ორ ეტაპად უნდა გამართულიყო. პირველი ეტაპი შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ტარდებოდა, პირველ რვა ადგილზე გასულნი ერთმანეთში წრიული სისტემით გაითამაშებდნენ უმაღლესი ლიგის ოთხ საგზურს.

დამთავრდა პირველი ეტაპი. გამოვლინდა რვა გამარჯვებული. მათ უნდა გაეთამაშებინათ მეორე ეტაპზე ოთხი საგზური, მაგრამ...

ეს ასე არ მოხდა. მონაწილეებმა პროტესტი გამოუცხადეს შეჯიბრების მთავარ მსაჯს და მიატოვეს ტურნირი.

მოტივი ასეთი იყო: არასათანადო პირობები, დაბალი დონის მსაჯობა, უხეშობა მსაჯთა კოლეგიის მხრიდან და სხვა... თავის მხრივ, მსაჯთა კოლეგიასაც დიდი პრეტენზიები ჰქონდა მონაწილეების მიმართ.

მონაწილეებმა ტურნირის თბილისში გამართვა მოითხოვეს.

ცხადია, ამ ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვება არაფრით არ შეიძლებოდა და 26 მარტს იგი საქართველოს სპორტის დეპარტამენტში საგანგებო განხილვის საგნად იქცა.

ცხადია, სხდომას ჩაშლილი ტურნირის მონაწილენიც ესწრებოდნენ: რევაზ კაკაბაძე, კახა შალამბერიძე, გიზო ჭურღულია, ირაკლი ლვამიჩავა, რომან სიჭინავა, ვასილ ვაშაკიძე. წყალტუბოდან მოიწვიეს აგრეთვე ტურნირის მთავარი მსაჯი, ოსტატი ჯ. ბერაძე და მთავარი მსაჯის მოადგილე დ. იოსელიანი...

ილაპარაკა ორივე მხარემ. გამოითქვა პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ. იყო უსაფუძვლო, ზედმეტად ემოციური ბრალდებებიც, მაგრამ ბოლოს ნათელი გახდა, რომ კონფლიქტის უკიდურესად გამწვავებაში მეტ-ნაკლებად ორივე მხარეს მიუძღოდა ბრალი. ტურნირის დასაწყისიდანვე მსაჯობაში დაშვებულმა შეცდომებმა და დათმობებმა ბოლოს ასეთი შედეგი გამოიღო. მაგრამ ისიც ცხადია, რომ კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უკმარი სამსაჯო პრაქტიკაც იყო.

სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მკაცრი შეფასება მისცა მომხდარ ფაქტს. აღინიშნა, რომ, მიუხედავად ორგანიზაციული ხარვეზებისა, ტურნირი მის მონაწილეებს არამც და არამც არ უნდა ჩაეშალათ.

სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ აუცილებელი იყო დამნაშავეთა მიმართ მკაცრი ზომების მიღება. მაგრამ საბოლოოდ მონაწილეთა და მსაჯთა კოლეგიის სასტიკი გაფრთხილებით დაკმაყოფილდნენ. ამასთან, ითქვა, რომ მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, მათ მიმართ გატარდება გაცილებით მკაცრი ღონისძიებები.

ეს წერილი უფრო იმიტომ დაიწერა, რომ დღეს არავის არა აქვს უფლება, პირადი ამბიციებით, პიროვნული დაპირისპირებით შექმნას კონფრონტაცია.

# „კარიბელი ფეხმარდი ქურციკი"

საქართველოს სპორტის ჟურნალისტები

წლის მიწურულს, როგორც მკითხველს მოეხსენება, ბევრი საააგენტო ტელეკომპანია და ჟურნალ-გაზეთი ასახელებს წლის № 1 სპორტსმენ ქალსა და ვაჟს. და აი, შარშანდელი ასეთი გამოკითხვისას ქალთა შორის საუკეთესოს შერჩევას დიდი დავა არ გამოუწვევია: თითქმის ყველა ანკეტაში უძლიერესად დაასახელეს იამაიკელი მძლეოსანი მერლინ ოტი.

**ფრიად** პოპულარულ კონკურსში, რომელსაც სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო გაერთიანება „ინტერნაციონალ შპორტკორესპონდენცი" აწყობს, ოტიმ 125 ქულა მოაგროვა და საგრძნობლად ჩამოიტოვა შტეფი გრაფი (110) საინტერესოა, რომ 92 ქულით მესამე იყო ოტის უშუალო მეტოქე სარბენ ბილიკებზე, ცნობილი გერმანელი სპორტსმენი კათრინ კრაბე და მხოლოდ მეოთხე — ჩოგბურთის ვარსკვლავი მარტინა ნავრატილოვა (74). ერთი სიტყვით, მერლინ ოტის (რომელსაც „კარიბელ ფეხმარდ ქურციკს" უწოდებენ) აღიარება მართლაც საყოველთაო იყო.

ახლანდელი ლაურეატი, რა თქმა უნდა, მძლეოსნობის სამყაროში, ახალი ფიგურა არ გახლავთ. იგი უკვე 31 წლისაა. მთელი ათი წლის განმავლობაში, როდესაც 100 და 200 მეტრზე მორბენალთა „რანგ-ლისტი" (ძალთა შედარებითი ნუსხა) ქვეყნდებოდა, იამაიკელი სპორტსმენი უცვლელად იყო პირველ ათეულში. რაც შეეხება „ავანსცენაზე" გასვლას, ოქროს მედლებისთვის ბრძოლას, აქ ოტის გზას ულობავდნენ განთქმული მორბენლები აღმოსავლეთ გერმანიიდან: გიორი, კოხი, გლადიში. და, რა თქმა უნდა, ფანტასტიკური ფლორენს გრიფიტი, როცა ყველა ამ სპორტსმენმა ასპარეზი დატოვა, ოტიმ მკვეთრად გააუმჯობესა შედეგები და პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით წინ გაიჭრა..

. როგორ შედეგებს აღწევს მძლეოსნობის ეს აღიარებული დედოფალი? — 100 მეტრს იგი ფარავს 10,78 წამში. ეს გახლავთ მესამე შედეგი ამ სახეობის ისტორიაში. რაც შეეხება 200 მეტრზე რბენას, აქ ოტის მაჩვენებელია 21,66 წამი. ოფიციალურად, ეს მეორე „ისტორიული შედეგია", თუმცა, იამაიკელი ამის თაობაზე ეჭვს გამოთქვამს:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შედეგი მსოფლიო რეკორდია. თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ, აკი ფლორენს გრიფიტ-ჯოინერმა სეულში 200 მეტრი 21,34 წამში გაირბინაო. პირდაპირ უნდა გითხრათ, მე ამ შედეგს არ ვცნობ. მოგეხსენებათ, 31 წლისა ვარ, მძლეოსნობაში ბევრი რამ ვნახე და განვიცადე. ასე რომ, დარწმუნებული გახლავართ, გრიფიტის მაჩვენებელი აშკარად ხელოვნურია.

ექსპერტები ხშირად კამათობენ, ვინ იღებს დოპინგს და ვინ არა. თუმცა, ეს სულ ფუჭი ლაპარაკია. თუ დამნაშავეს არ დაუმტკიცებ, ხელების ქნევას რა აზრი აქვს".

მერლინ ოტი მძლეოსნობას 14 წლის ასაკიდან მისდევს. 15 წლისა 200 მეტრს 25,9 წამში გარბოდა. 19 წლისამ უკვე დიდ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია. მაშინ ნებრასკას უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტი იყო, პანამერიკულ თამაშებში მიიღო მონაწილეობა და 200 მეტრზე რბენაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აი, სწორედ მაშინ შეარქვეს „კარიბელი ფეხმარდი ქურციკი" და მიიჩნიეს კიდეც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მორბენლად.

1980 წელს ოტი მონაწილეობდა მოსკოვის ოლიმპიადაში, სადაც მესამე შედეგი აჩვენა 200 მეტრზე რბენაში. ოთხი წლის შემდეგ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე იამაიკელმა ორი ბრინჯაოს მედალი მიიღო 100 და 200 მეტრზე სირბილში. 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე 100 მეტრზე მორბენალთა კონკურსში ოტი ტრავმის გამო ნახევარფინალშივე გამოაკლდა, 200 მეტრზე კი მეოთხე იყო. რაც შეეხება მსოფლიო პირველობებს, 1983 წელს ჰელსინკში ოტი 200 მეტრზე ვერცხლის მედალს დაეუფლა, 1987 წელს კი რომში ორივე სახეობაში ბრინჯაოს მედალოსანი გახდა. ერთი სიტყვით, ოტი წარმატებას აღწევდა ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობდა. ასეთი თანაბარი, მაღალი შედეგებით, მძლეოსნობაში ცოტა ვინმე თუ დაიკვეხნის.



ერთხანს მერლინი კალიფორნიაში გადავიდა, მძლეოსან ნეტ პეიჯს გაჰყვა ცოლად. გაყრის შემდეგ, ესპანურ კლუბ „ლარიოშის" ღირსებას იცავდა. ერთხანს აპენინის ნახევარკუნძულზე დასახლდა. რომში გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობდა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ოტი მაინცდამაინც შეუპოვრად არ ვარჯიშობს. წარმატებებს კი ძირითადად თავისი იშვიათი ფიზიკური მონაცემების წყალობით აღწევს.

— რაც შეეხება მსოფლიო რეკორდს, ვერ ვიტყვი, რომ მისკენ სრული მონდომებით მივისწრაფვი. რაც მოხდება, მოხდეს. შეიძლება დავამყარო კიდეც. საამისოდ, ბევრი რამ არის საჭირო. ჩემთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მძაფრ კონკურენციას, ისეთს, რომელიც მაიძულებს მაქსიმალურ მობილიზებას, და, რა თქმა უნდა, მაყურებელს. თქვენ წარმოიდგინეთ, მაყურებელი ჩემთვის გადამწყვეტია. აი, სწორედ ის მიქმნის ნამდვილ სპორტულ ატმოსფეროს.

ოტის უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, უყვარს შეხვედრები ჟურნალისტებთან, რომლებთანაც მეგობრობს და ყოველთვის დიდ დროს უთმობს.

როგორია განთქმული მორბენლის გეგმები? — წლეულს იგი რამდენიმე შეჯიბრებაში გამოვა, საგაისოდ კი სურს, აუცილებლად იასპარეზოს ოლიმპიადაში.

— ბარსელონის თამაშები ჩემთვის მეოთხე და, ეტყობა, უკანასკნელი ოლიმპიადა იქნება. მინდა, აუცილებლად ოქროს მედალი მოვიპოვო. თუ მიზანს ვერ მივაღწიე, რას ვიზამ. მძლეოსნობამ ისედაც ბევრი რამ მომცა: ქონება, მეგობრები შემძინა, მსოფლიოც მანახა. ერთი სიტყვით, ყველაფერს მას უნდა ვუმადლოდე...

**გივი თხინვალელი**

**სურათზე:** მერლინ ოტი.

# ტაი-ცი ციუანი საბრძოლო ხელოვნებაა!

(გაგრძელება)

ფელ ნაწილს წარმოადგენს. ყოველივე ეს კი საშუალებას აძლევს ადამიანს, სრულყოს საკუთარი პიროვნება არა მარტო ფიზიკურად, არამედ ფსიქიკურად, ინტელექტუალურად და ზნეობრივადაც. ამა თუ იმ სახეობების შერჩევა, როგორცა ჩანს, გემოვნების და შესაძლებლობის საქმეა მხოლოდ.

ასეთ პირობებში გაოცებას იწვევს იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც ტაი-ცი-ციუანს კვლავ ჯიუტად უწოდებენ „ჩინურ გამაჯანსაღებელ ტანვარჯიშს“ ან „უშუს სამკურნალო განაკვეთს“ და ა. შ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ვულგარული მატერიალიზმის ტრადიციებზე აღზრდილი ადამიანისათვის ძალზე ძნელი, ხშირად შეუძლებელიც კია საბრძოლო ხელოვნების ზოგიერთი ასპექტისა და პრინციპის გაგება და შეთვისება.

„ვინც ჭეშმარიტად რაინდია — არ მძლავრობს“. „ვინც ჭეშმარიტად მებრძოლია — არ მრისხანებს“... „უფრო დიდი უბედურება არაფერია — გძულდეს მტერი შენი“ — მართლაც ძნელია „მატერიალისტისათვის“ ამ პრინციპების სერიოზულად აღთქმა, მით უმეტეს გათავისება, განსაკუთრებით — საბრძოლო ხელოვნებასთან მიმართებაში: მისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება, არ გძულდეს მტერი შენი; არ იმძლავრო, თუკი „ძალა შეგწევს ქადილისა“; არ იყო მრისხანე, როცა თავი სწორუპოვარ მებრძოლად მიგაჩნია — მაშ რისი მებრძოლი ხარ! როგორ თუ: „ვინც ნაწრთობია ჭეშმარიტყველებაში — დუმს?!“ რაღად უნდა ასეთი მჭერმეტყველება? როგორ თუ: „ბრძენი სიბრძნეს ფლობს და დუმს“?! ვის რაში სჭირდება ასეთი სიბრძნე?

...ეს ციტატები „დაო დე ძინიდანაა“ — დაოსიზმის წმინდა წიგნიდან, ზემოჩამოთვლილი მცნებანი კი ანბანია ამ ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებისა.

დღეს უკვე ბევრმა იცის, რომ დაოსიზმი იყო ის საძირე, რომელზედაც დაემყნო შემდეგში ჩინეთში ინდოეთიდან შემოსული ბუდიზმი. ამ ორი ეზოტერული მოძღვრების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა სწორედ ჩან (იაპონურად „ძენ“) ბუდიზმი, რომელიც აღმოსავლეთაზიური საბრძოლო ხელოვნების ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

საბრძოლო ხელოვნება ეყრდნობა აგრეთვე ტრადიციული ჩინური მედიცინის ცოდნას, მისი ძირითადი ცნებებია: „კოსმიური ენერგია ციუ, რომელიც სხეულის „მერიდიანებში“ ცირკულირებს, „სიკვდილისა“ და „სიცოცხლის წერტილები“, ანუ ტიენ-ჰიუ და სხვ. ეს ცნებებიც ასევე ძნელი გასათავისებელია „მატერიალისტისათვის“, რამდენადაც ევროპულმა მედიცინამ ჯერჯერობით ვერ შეძლო ამ მცნებათა შესატყვისი მატერიალური ობიექტების აღმოჩენა ჩვენს ორგანიზმში, თუმცა, ჩინური მედიცინის მიღწევები კარგა ხანია საყოველთაოდაა აღიარებული.

ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია სასიცოცხლო „ციენერგიას“ ინტენსიურ დაუბრკოლებელ ცირკულირებაზე „მერიდიანებში“ („არხებში“), ეს პროცესი კი შესაძლებელია ვმართოთ — ერთის მხრივ, სპეციალური ვარჯიშების სისტემატური შესრულებით, მეორეს მხრივ კი — „სასიცოცხლო წერტილებზე“ ზემოქმედებით. მკურნალობისას ამ წერტილებზე მოქმედებენ (სხვადასხვანაირად) ცი-ენერგიის ცირკულირების გასაძლიერებლად, ხოლო ორთაბრძოლის დროს (ასევე სხვადასხვანაირად) — ცირკულირების შესასუსტებლად, ანდა — სულაც შეწყვეტის მიზნით, რასაც სიკვდილი მოსდევს.

აღმოსავლეთ-აზიური საბრძოლო ხელოვნების ყველა სახეობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება იგი, ე. წ. „შიგა“, თუ „გარე“ მიმდინარეობას, გულისხმობს როგორც ცი-ენერგიის გამოყენებას, ისე „სასიცოცხლო წერტილებზე“ და „მერიდიანებზე“ ზემოქმედებას, თუმცალა სხვადასხვა გზით: ზოგ სახეობაში ეს ზემოქმედება უფრო უხეშია, ძალისმიერია („გარე“ სტილები), ზოგან კი — გარეგნულად თითქმის შეუძლებელია, ერთი შეხედვით სიმბოლურიც კი. სწორედ ეს გარეგნული „უხეშობლობაშია“ ყველაზე დიდი საშიშროება მოწინააღმდეგისათვის, რომელიც იმალება „შიგა“ სტილებში, უპირველეს ყოვლისა კი ტაი-ცი ციუნში — „მუშტის ხელოვნების დიად ზღვარში“. თუ კარატეს ან კუნ-ფუს ოსტატი უძლიერეს პითონს შეიძლება შევადაროთ, რომლის კუდის მოქნევაც კი უდიდესი დამანგრეველი ძალისაა, მაშინ ტაი-ცის ოსტატი კობრას მოგვაგონებს, რომელიც თავისი შხამით ერთნაირად საშიშია, მიუხედავად ფიზიკური „სისუსტისა“, ნებისმიერი სულდგმულისათვის, იგივე პითონისთვისაც კი.

ტაი-ცის დიდოსტატები ერთის მხრივ, ზედმიწევნით ფლობენ სპეციალურ ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსებს, რომლებიც ემსახურება „ციენერგიის გამოღვიძებას“, მისი მართვის, კერძოდ, „შემტევ“ წერტილებში კონცენტრაციის უნარის გამომუშავებასა და ამ უნარის გაძლიერებას. მეორეს მხრივ, კი მათ ძალუძთ სწრაფად „ინტუიციურად“ აღმოაჩინონ ესა თუ ის „სასიცოცხლო“ წერტილი (ჩაცმული მოწინააღმდეგის და არა შიშველის) სხეულზე და იმოქმედონ მასზე საკუთარი ციენერგიით. ამ ზემოქმედების შედეგი შეიძლება სულ სხვადასხვა იყოს: მოწინააღმდეგის შოკირება-გაშეშება, მისი ამა თუ იმ ორგანოს დროებით ან მთლიანად წყობილებიდან გამოყვანა და შესაბამისად მოპირდაპირის დროებითი ნეიტრალიზება ან სრულიად მოსპობა.

გასაგებია, რომ ასეთი უნარის დიდოსტატი ფაქტიურად ადამიანებზე ზემოქმედების განუსაზღვრელ შესაძლებლობას ფლობს და სურვილის შემთხვევაში შეუძლია თავის ნებას დაუმორჩილოს ისინი. სწორედ ამიტომაა, რომ ტაი-ცის ნამდვილი დიდოსტატები თავად ეძებენ და ირჩევენ მრავალ ათასთაგან თავიანთ შეგირდებს, მათი ცოდნისა და საქმის ერთგულ გამგრძელებლებს და არა პირიქით. მომავალი შეგირდის უპირველესი სათნოება ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობა და თავმდაბლობაა: აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს, რომ მიღებულ ცოდნას იგი ოდესმე საკუთარი ეგოისტური ინტერესებისათვის, სხვათა დაჩაგვრის, დათრგუნვისა და დამორჩილების მიზნით გამოიყენებს. ცოდნამ არ უნდა გააყოყოჩოს შეგირდი, არ უნდა გააღვიძოს მასში უპირატესობის ულირსი გრძნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსტატი, რომელიც მუდმივად თვალყურს ადევნებს მას, წყვეტს მოწაფესთან ყოველგვარ ურთიერთობას და რამდენადაც სწავლების „სრული კურსი“ მრავალწლიანია (როგორც წესი, ორ-სამ ათწლეულს მოიცავს), ტაი-ცის ხელოვნების შემდეგი საფეხურები, ანუ ჭეშმარიტი სიბრძნე, დასჯილი შეგირდისათვის სრულიად უცნობი რჩება.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ეპოქაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ადამიანურ სათნოებათა, ზნეობრივი დეგრაციის საუკუნეში, იშვიათად თუ ვინმე ახერხებს ქედმაღლობასა და ამპარტავნობის ცოდვისაგან თავის არიდებას. ალბათ ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ტაი-ცი ციუანის „ექსპერტთა“ ცოდნაც ვერ სცილდება „გამაჯანსაღებელ ვარჯიშთა“ სფეროს, ხოლო მათი პუბლიკაციები გადამღერებაა ერთი და იგივე, მკითხველისათვის მრავალგზის მიწოდებული მასალისა. ეს იმას ჰგავს, კაცს რომ ცხვირი მთის ძირისათვის მიუბჯენია და, ცხადია, მთის მწვერვალს ვერ ხედავს. ჭეშმარიტია: „ბრძენი დუმს, უმეცარი — ქადაგებს“. დიახ, სამწუხაროდ, „ჭეშმარიტი სიტყვა არ არის ლამაზი, ლამაზი სიტყვა არ არის ჭეშმარიტი“.

და მაინც, კიდევ უნდა გავიმეოროთ: ფიზიკური ვარჯიშები ტაი-ცი ციუანში საბრძოლო ხელოვნების „გარე“ მიმდინარეობის სახეობათაგან სრულიად განსხვავებულ მიზანს ემსახურება. ეს მიზანია, გამოვიმუშაოთ უნარი, ორგანიზმის ზედმეტი დაძაბვის გარეშე „მოწინააღმდეგის შემოტევის“ „არეკვლისა“, „ციენერგიის“, „გაღვიძების“, მისი კონცენტრაციის „შემტევ“ წერტილებში და ამით ზემოქმედებისა მოწინააღმდეგის სხეულის დაუცველ, ან ნაკლებად დაცულ ადგილებზე.

რამდენადაც „ენერგია“ ადამიანის სასიცოცხლო ძალაა, ვარჯიშთა კომპლექსები, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, მის გაძლიერებასა და მართვის უნარის გამომუშავებას ისახავს მიზნად, შეიძლება დაავადებული ან დასუსტებული ადამიანების გამოჯანმრთელებისათვისაც გამოვიყენოთ და ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვილაპარაკოთ ტაი-ცი ციუანზე, როგორც გამაჯანსაღებელ ვარჯიშთა კომპლექსზე. მაგრამ ისევ და ისევ, ეს „მედლის მეორე მხარეა“, კერძო შემთხვევაა. ზოგადად კი, იგი არა მარტო ისევეა საბრძოლო ხელოვნება, როგორც კუნ-ფუ, უ-შუ და სხვანი, არამედ ამ ხელოვნების „დიად ზღვრადაა“ აღიარებული აღმოსავლეთში.

მართალია, არის საშიშროება, რომ ტაი-ცის დიადი ცოდნის დაუფლებას ულირსნიც შეეცდებიან და სახარებაც ხომ ამას გვასწავლის: „ნუ მისცემთ სიწმინდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხით მათითა და მოიქცნენ და განგხეთქნენ თქუენ“ (მათე, VII, 6). მაგრამ დღეს ამაზე გაჩუმება აღარ ეგების. საქართველოს კვლავ დამოუკიდებელი ცხოვრება უბრუნდება, ეს ცხოვრება კი ისევ მკაცრია, და ზოგჯერ სასტიკიც, როგორადაც მშვენიერი და ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ არსებობს ასეთი ცოდნა და არსებობენ ამ ცოდნის მატარებელი ადამიანები. ეს ადამიანები შეიძლება იყვნენ ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის მეგობრები და თაყვანისმცემლები და ასევე დასაშვებია ისიც, რომ მცოდნეთა რიგებში აღმოჩნდნენ ის ადამიანებიც, ვისაც არ გაახარებდა ჩვენი წინსვლა და თავისუფლება. ადრე თუ გვიან, ჩვენ მოგვიწევს მათთან შეხვედრა — როგორც მეგობრებთან, ისე მტრებთან და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ ამ შეხვედრისათვის. სწორედ ამ კუთხით შევეცადე გამეხსნა ტაი-ცი ციუანი — „მუშტის ხელოვნების დიადი ზღვარი“ ჩვენი ქვეყნისათვის ამ უძნელეს ჟამს.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

**იური უეინაშვილი,**
**სპეციალურად „ლელოსათვის“**

(გაგრძელება იქნება)

## ტარიელ ალიბეგაშვილი



სპორტში, რომ იტყვიან, ჩუმი, მაგრამ მისაბაძი ცხოვრებით იცხოვრა, ყოველდღიურობაშიც ასეთივე იყო — ნამუსიანი და ულალატო, კეთილი და მოამაგე. გაჭირვებაში უეჭველად გვერდში ამოგიდგებოდა, გაგამხნევებდა, ხელს გაგიმართავდა, კეთილ სიტყვასა და დარიგებას არ მოგაკლებდა.

ტარიელ ალიბეგაშვილი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც გზის გამკვლევთა მაგალითზე გაიზარდა და მათი საქმის უშუალო გამგრძელებელი იყო.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც დაამთავრა. ამ ხნის განმავლობაში ბევრს მიაღწია და ბევრჯერ გაახარა გულშემატკივრები. ტარიელ ალიბეგაშვილი იყო საბჭოთა კავშირის ორგზის და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი. 1970 წელს ევროპის გუნდური პირველობა მოიგო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში. 1969 წელს მარ-დელ-პლატას (არგენტინა) მსოფლიო ჩემპიონატში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

სპორტს რომ თავი მიანება, ერთხანს რესპუბლიკის სპორტკომიტეტში მუშაობდა მთავარ მწვრთნელად, თავის ცოდნასა და გამოცდილებას ჭიდაობის საქმის ორგანიზაციასა და წარმართვას ახმარდა. მერე შინაგან საქმეთა სამინისტროში გადავიდა და პროფესიულ საქმიანობას შეუდგა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ბოლო დროს ყაზბეგის რაიონის მილიციის უფროსად მუშაობდა და სწორედ აქ მოუსწრო ბრმა შემთხვევამ. ავტოკატასტროფამ სიცოცხლე მოუსწრაფა მართალ და უბოროტო კაცს, რომლის ცხოვრების აზრი სიკეთის სამსახური იყო.

მისი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლების, ნაცნობ-მეგობრებისა და სპორტის ყველა ქომაგის გულში.

**ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანება, თავისუფალი სტილის ჭიდაობის ფედერაცია**

## ვინ ვინ და...
# ხუანიტას უნდა დავუჯეროთ

„ფორბსის“ სპეციალური საახალწლო მონაცემების თანახმად, მსოფლიოს უმდიდრეს სპორტსმენთა სამეულში მხოლოდ პროფესიონალი მოკრივეები მოხვდნენ. სახელდობრ, მაიკ ტაისონი (წლიური შემოსავალი 28,6 მილიონი დოლარი), ჯეიმს დუგლასი (26,0 მილიონი) და რეი ლეონარდი „შუგარად“ წოდებული (15,0 მილიონი). „ფორბსის“ ამ სიაში აირტონ სენა მეოთხეა, შემდეგ კი სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც არიან მოხსენიებულნი.

საერთოდ, პროფესიული სპორტის ვარსკვლავთა ყოველწლიურ შემოსავალზე მეტწილად განსხვავებული, ერთმანეთის საპირისპირო ცნობები იბეჭდება. მაგრამ ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან ზოგი საინფორმაციო სამსახური მხედველობაში იღებს სპორტული გამოსვლებისთვის მიღებული ჰონორარის ოდენობას, ზოგი კი მათ რეკლამის შემოსავალსაც უმატებს, სარეკლამო ხარჯები კი, მოგეხსენებათ, ხშირად გასაიდუმლოებულია. მაგალითად, ამერიკელველოსიპედისტს გრეგ ლემონდს ამ სიაში თავისი 4,2 მილიონი დოლარით მხოლოდ 26-ე ადგილი უკავია; არადა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ შარშან ლემონდს სამმა ამერიკულმა ფირმამ რეკლამისთვის დიდი თანხა გადაუხადა, ოღონდ პრესაში ამ ციფრის გამოქვეყნებას სპორტსმენმა მკაცრი ყადაღა დაადო. ამიტომ ლემონდის შემოსავალი „ფორბსის“ სიაში ერთობ შემცირებულია.

ახლა რამდენიმე სიტყვა „ფორბსის“ სიის № 3 ლაურეატზე — რეი „შუგარ“ ლეონარდზე, რომელიც სავსებით სამართლიანად ითვლება ბოლო ათწლეულის საუკეთესო პროფესიულ მოკრივედ და, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ დატოვა რინგი.

ამბობენ, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ლეონარდის მენეჯერები, მწვრთნელები, ახლობლები და კეთილისმსურველები ახლა თავში იცემენ ხელს: დროზე უნდა მიგვეხედა მისთვის და დღესაც რინგზე იქნებოდაო. ალბათ, ასეც მოხდებოდა, ოღონდ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „შუგარი“ საკმაოდ ძნელად მოსავლელი კაცი იყო. ახლა ბევრი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ლეონარდი კოკაინის მოტრფიალე იყო და უზომოდ ეტანებოდა ალკოჰოლს. სხვებს კაცმა შეიძლება არც დაუჯეროს, მაგრამ, როცა ამას საკუთარი მეუღლე ლაპარაკობს, ძნელია არ ირწმუნო.

ხუანიტა ლეონარდი საერთოდ აქტიური ქალია, თანაც ცნობილია, როგორც ქმრის მიმართ კეთილად განწყობილი (ბევრი პროფესიული მოკრივის მეუღლისგან განსხვავებით). მისი სიტყვებით, რეი ნარკოტიკებს მიეძალა 1983 წელს, როცა თვალის მძიმე ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, დროებით შეეწყვიტა გამოსვლები. მაშინვე დაიწყო მან უზომოდ სმაც. აი, ამ „ბნელ პერიოდში“ „დამაქრული“ ლეონარდი („შუგარი“ ინგლისურად შაქარია) ხშირად სცემდა ხუანიტას, რაც საბოლოოდ მათი გაყრის მიზეზი გახდა.

მაგრამ, მეუღლე უსიტყვოდ ეთანხმება იმათ, ვისაც ლეონარდი თანამედროვეობის ყველაზე დიდ მოკრივედ მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში, ამბობს იგი, არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ლეონარდი ნარკოტიკებს იღებდა, ლოთობდა და უხეშად მეპყრობოდა. ჩვენ ერთად ბევრი ტკბილი დღეც გაგვიტარებიაო. ხუანიტას სიტყვებს, ალბათ უნდა დავუჯეროთ.

### ინფორმაცია

ტელეკომპანია ბი-ბი-სის მიერ დიდი ბრიტანეთის 1990 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია ინგლისის ნაკრებისა და კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ნახევარმცველი, ოცდასამი წლის პოლ გასკოინი.

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია თანაუგრძნობს შალვა (შაკო) და თემურ ქურციკიძეებს მამის

**შოთა ქურციკიძის**

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძიძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-26, „მარჯვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20